საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

F-171
965

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**4**

აპრილი

თბილისი—1965

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1964 წლის შედეგებისა და 1965 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ**

1965 წლის 12 მარტი

F 9995

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, მისი ფილიალების, განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და პროფკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების 1964 წლის გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული. გეგმით გათვალისწინებული 5000 მუშაკის ნაცვლად, კურსები გაიარა 5105 მუშაკმა.

სხვადასხვა სახის დახელოვნების კურსებზე წაკითხული იქნა ლექციების ციკლი ისეთ საკითხებზე როგორც არის პედაგოგიკა და კიბერნეტიკა, დაპროგრამებული სწავლება, სწავლებაში კინოსა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება და სხვ. აღნიშნულ თემებზე ლექციები წაიკითხეს გამოჩენილმა მეცნიერებმა, მოეწყო მასწავლებელთა ექსკურსიები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ობიექტებზე, ხელოვნების მუზეუმში, ქ. რუსთავის კაპრონლაქტამის ქარხანაში და სხვ.

რიგი სიახლენი შევიდა, როგორც კურსების სახელობაში, ისე დახელოვნების კურსების პროგრამებსა და სასწავლო გეგმებში.

სათანადო ყურადღება დაეთმო საგანთა სწავლების სისტემაში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საკითხებს.

1964 წელს პირველად მოეწყო სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა, მომღერალთა გუნდებისა და საბავშვო ბაღების მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელების, ფილმოთეკების გამგეებისა და კინოს საკითხებში მასწავლებელთა დახელოვნების კურსები.

სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა დახელოვნების კურსები მოეწყო ქ. რუსთავში, ქ. ფოთში, ქ. ზესტაფონში, ჩხოროწყუში და სხვ.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო, ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ფოთის, ამბროლაურის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ცხაკაიასა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებები და პროფკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტები სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დასახელოვნებელი კონტინგენტის აღრიცხვის, შერჩევისა და კურსებზე მივლინების საქმეს, მასწავლებელთა შორის სათანადო მუშაობის ჩატარების შედეგად მიაღწიეს საკურსო ღონისძიებათა გეგმების შესრულებას.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახალციხის, ახმეტის, თეთრიწყაროს, გეგეჭკორის, თიანეთის, ყაზბეგის, ლენტეხის, მესტიის, სიღნაღის, წალენჯიხისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა და პროფკავშირის შესაბამისმა საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს თავიანთი განაცხადების მიხედვით კურსებზე მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა მივლინება.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ე ნ

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორს ამხ. თ. ა. ზახაშვილს:

ა) 1965 წელს მუშაობიდან მოუწყვეტლად, მუშაობიდან მოწყვეტით და ზაფხულის პერიოდში მოწყობილ სხვადასხვა სახის კურსებისა და კურს-სემინარების საშუალებით დაახელოვნოს 5000 მასწავლებელი და განათლების დარგის სხვა მუშაკი თანდართული განრიგის მიხედვით;

ბ) განათლების დარგის ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა დახელოვნებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლის წინაშე მდგომი აქტუალური საკითხების განხილვას და მოწინავე სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილების დანერგვასა და განზოგადებას;

გ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი დახელოვნების კურსებზე ყოფნის პერიოდში მსმენელთა კულტურულ-მასობრივი მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს და შესაბამის პროფკავშირულ კომიტეტებს:

ა) მწყობრი და გეგმიანი ხასიათი მისცენ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კურსებზე დროულად და დანიშნულებისამებრ მივლინებას, ამასთანავე მიიღონ საჭირო ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არიდებენ თავს პედაგოგიურ დახელოვნებას;

ბ) აღმოუჩინონ ქმედითი დახმარება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მის ფილიალებს დახელოვნების ღონისძიებათა წარმატებით ჩატარებისათვის, კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე შესაბამის საქალაქო და რაიონულ პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად პერიოდულად განიხილონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების საკითხები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის, დუშეთის, თეთრიწყაროს, თიანეთის, ბორჯომისა და თელავის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს 1965 წლის ივნისსა და ივლისში გამოუყონ საკურსო ღონისძიებათა ჩატარებისათვის შემდეგი სასკოლო შენობები:

ქ. თბილისში—23-ე და 37-ე საშუალო სკოლები,

ქ. სოხუმში—მე-7, მე-9 და მე-10 საშუალო სკოლები,

ქ. ბათუმში—პირველი საშუალო სკოლა,

ქ. ქუთაისში—პირველი, მე-2, მე-4 და მე-20 საშუალო სკოლები,

ქ. თელავში—პირველი და მე-2 საშუალო სკოლები,

ქ. ბორჯომში—მეორე საშუალო და რუსული საშუალო სკოლები,

ქ. ქობულეთში—პირველი საშუალო და რუსული საშუალო სკოლები,

გუდაუთში—მე-2 საშუალო სკოლა,

ქ. თბილისის № 1 სკოლა-ინტერნატი,

თიანეთის საშუალო სკოლა და სასკოლო ინტერნატი.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) სკოლებში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა თვითგანათლებისა და მეთოდურ-პედაგოგიური დახელოვნების საქმეს.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) შეუფერხებლად დააფინანსოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი და მისი ფილიალები ამ დადგენილებით დამტკიცებულ საკურსო ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მომარაგება საკურსო ღონისძიებათა გეგმის შესრულებისათვის საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით.

7. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ წერილები მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მუშაობის შესახებ.

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე შესაბამის საქალაქო და რაიონულ პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილებებმა (ი. კვაჭაძე, ა. დადიანი) კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

## საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და განათლების სხვა მუშაკთა დახელოვნების კურსების მოწყობის

# გ ე გ მ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1965 წელი

| № რიგზე | ვადა / კურსების დასახელება | ჯგუფთა რაოდენობა | მსმენელთა კონტინგენტი | მოწყვეტით თუ მოუწყვეტლად | კურსების მუშაობის ხანგრძლივობა | საათები: ლექცია | საათები: პრაქტიკული | კურსების მუშაობის ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | **ი ა ნ ვ ა რ ი** | | | | | | | |
| 1 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 2 | 60 | მოუწ. | 3 თვე | 130 | 40 | თბილისი |
| 2 | მასწავლებელთა სასკოლო კინოს საკითხებში დახელოვნების | 2 | 60 | " | " | 68 | 147 | " |
| 3 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | " | " | 140 | 76 | " |
| 4 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 100 | 70 | " |
| 5 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვე | 100 | 107 | ყვარელი |
| 6 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 2 | 60 | " | " | 100 | 107 | გარდაბანი |
| 7 | შრომის (ხეზე, ლითონზე) მასწავლებელთა | 1 | 30 | მოუწყ. | 1,5 თვ. | 120 | 250 | ზუგდიდი |
| 8 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვ. | 140 | 76 | სოხუმი |
| 9 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვ. | 140 | 76 | ქუთაისი |
| 10 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | " | " | 134 | 76 | " |
| 11 | დაწყებითი კლასების ხელმძღვანელთა | 1 | 30 | " | 15 დღე | 40 | 8 | " |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **თებერვალი** | | | | | | | |
| 1 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში (რუს. ჯგ.) | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 132 | 18 | თბილისი |
| 2 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა . . | 1 | 30 | „ | „ | 70 | 148 | „ |
| 3 | მასწავლებელთა სასკოლო კინოს საკითხებში დახელოვნების . . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვე | 68 | 147 | „ |
| 4 | საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების აღმზრდელთა . | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 100 | 50 | ქუთაისი |
| 5 | სასკოლო ბიბლიოთეკარების . . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 100 | 45 | „ |
| 6 | სკოლა-ინტერნატისა და სასკოლო ინტერნატის აღმზრდელთა . . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 15 დღე | 34 | 18 | ჯავა |
| | **მარტი** | | | | | | | |
| 1 | გერმანული ენის მასწავლებელთა . . . . . . . | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 108 | 102 | თბილისი |
| 2 | „ „ (რუსული ჯგ.) . . . . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 108 | 102 | „ |
| 3 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . . | 1 | 30 | „ | „ | 132 | 18 | „ |
| 4 | ხატვის მასწავლებელთა . . . . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვე | 64 | 86 | „ |
| 5 | სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა . . . . | 4 | 120 | მოწყ. | 7 დღე | 30 | 18 | „ |
| 6 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . | 1 | 30 | მოუწყ. | 15 დღ. | 34 | 18 | ბათუმი |
| 7 | ქართული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . . . . . . | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 104 | 30 | გორი |
| 8 | ბიოლოგიის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 30 | „ | 15 დღე | 30 | 60 | „ |
| 9 | საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების აღმზრდელთა (რუსული ჯგუფი) . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | „ | 1 თვე | 100 | 50 | სოხუმი |
| 10 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . | 1 | 30 | „ | „ | 132 | 18 | ქუთაისი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . | 1 | 30 | მოწყ. | 7 დღე | 30 | 6 | ცხინვალი |
| 12 | კლასების ხელმძღვანელთა . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 15 დღე | 40 | 8 | „ |
| | **აპრილი** | | | | | | | |
| 1 | არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 126 | 34 | თბილისი |
| 2 | რვაწლიანი სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა . . | 2 | 60 | „ | „ | 104 | 60 | „ |
| 3 | ქიმიის მასწავლებელთა . . . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 104 | 86 | „ |
| 4 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა . | 1 | 30 | „ | „ | 70 | 148 | „ |
| 5 | „სახალხო განათლების“ შტატგარეშე კორესპონდენტთა | 1 | 30 | „ | 7 დღე | 32 | 4 | „ |
| 6 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 15 დღე | 34 | 18 | ზუგდიდი |
| 7 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 30 | „ | 1 თვე | 140 | 30 | სოხუმი |
| 8 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . | 1 | 30 | მოწყ. | „ | 132 | 18 | ქუთაისი |
| 9 | სკოლა-ინტერნატების აღმზრდელთა . . . . | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 114 | 30 | ქუთაისი |
| 10 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . . . . . . . | 1 | 30 | „ | 15 დღე | 72 | 6 | ცხინვალი |
| | **მაისი** | | | | | | | |
| 1 | ფიზიკისა და ქიმიის ლაბორანტთა . . . . | 2 | 60 | მოწყ. | 1 თვე | 68 | 160 | თბილისი |
| 2 | მეოჯახეობის მასწავლებელთა . . . . . . | 1 | 30 | „ | „ | 64 | 156 | „ |
| 3 | საბავშვო ბაღების მუშაკთა . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 15 დღე | 40 | 8 | სოხუმი |
| 4 | „სახალხო განათლების“ შტატგარეშე კორესპონდენტთა | 1 | 30 | მოწყ. | 7 დღე | 32 | 4 | ქუთაისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ი ვ ნ ი ს ი** | | | | | | | |
| 1 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 2 | 60 | | 1 თვე | 104 | 46 | [illegible] |
| 2 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 3 | 90 | | „ | 104 | 46 | თელავი |
| 3 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 104 | 46 | სოხუმი |
| 4 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 4 | 120 | | „ | 104 | 46 | ქუთაისი |
| 5 | რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 108 | 42 | თბილისი |
| 6 | რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 42 | სოხუმი |
| 7 | რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 42 | ქუთაისი |
| 8 | არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 112 | 38 | თბილისი |
| 9 | არარუსული სკოლების დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 112 | 38 | ქუთაისი |
| 10 | აზერბაიჯანული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 42 | ბოლნისი |
| 11 | სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 108 | 42 | ბოგდანოვკა |
| 12 | სომხური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 42 | სოხუმი |
| 13 | აფხაზური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 42 | „ |
| 14 | ოსური სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 42 | ცხინვალი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა | 1 | 30 | | 1 თვე | 114 | 36 | ბორჯომი |
| 16 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 114 | 36 | თელავი |
| 17 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 114 | 36 | ქუთაისი |
| 18 | ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 114 | 36 | ცხინვალი |
| 19 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა | 3 | 90 | | „ | 100 | 90 | ბათუმი |
| 20 | ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 100 | 90 | ქუთაისი |
| 21 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა | 1 | 30 | | 15 დღე | 72 | 6 | ბათუმი |
| 22 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა (რუსული ჯგ) | 1 | 30 | | „ | 72 | 6 | სოხუმი |
| 23 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა | 1 | 30 | | 1 თვე | 70 | 148 | თბილისი |
| | **ი ვ ლ ი ს ი** | | | | | | | |
| 1 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 130 | 30 | ბორჯომი |
| 2 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 140 | 30 | „ |
| 3 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 130 | 30 | ქობულეთი |
| 4 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 140 | 30 | „ |
| 5 | არაქართული სკოლების ქართული ენის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 126 | 34 | ბორჯომი |
| 6 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 140 | 30 | სოხუმი |
| 7 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 130 | 30 | ცხინვალი |
| 8 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 140 | 30 | გუდაუთა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | 1 თვე | 130 | 30 | გუდაუთა |
| 10 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 140 | 30 | ბათუმი |
| 11 | არარუსული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 130 | 30 | „ |
| 12 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკ. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 140 | 30 | გუდაუთა |
| 13 | გერმანული ენის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 108 | 102 | თბილისი |
| 14 | გერმანული ენის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | | „ | 108 | 102 | „ |
| 15 | ინგლისური ენის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 02 | „ |
| 16 | ფრანგული ენის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 108 | 102 | „ |
| 17 | ბიოლოგიის მასწავლებელთა | 3 | 90 | | „ | 106 | 80 | ქობულეთი |
| 18 | ბიოლოგიის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | | „ | 106 | 80 | „ |
| 19 | ბიოლოგიის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 106 | 80 | ბათუმი |
| 20 | ქიმიის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 104 | 88 | თბილისი |
| 21 | მათემატიკის მასწავლებელთა | 4 | 120 | | „ | 130 | 20 | „ |
| 22 | მათემატიკის მასწავლებელთა | 4 | 120 | | „ | 130 | 20 | ქუთაისი |
| 23 | ფიზიკის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 96 | 114 | თბილისი |
| 24 | ფიზიკის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 96 | 114 | ქუთაისი |
| 25 | ფიზიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | | „ | 96 | 114 | სოხუმი |
| 26 | გეოგრაფიის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 114 | 36 | თელავი |
| 27 | გეოგრაფიის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 114 | 36 | ქუთაისი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 28 | გეოგრაფიის მასწავლებელთა (რუს. ჯგ.) | 1 | 30 | | 1 თვე | 114 | 36 | თელავი |
| 29 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა | 2 | 60 | | 15 დღე | 72 | 6 | თბილისი |
| 30 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა | 2 | 60 | | „ | 72 | 6 | ქუთაისი |
| 31 | ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | | „ | 72 | 6 | თბილისი |
| 32 | ხატვა-ხაზვის მასწავლებელთა | 1 | 30 | | 1 თვე | 84 | 122 | „ |
| 33 | დაწყებითი სკოლების გამგეების | 2 | 60 | | „ | 108 | 42 | თიანეთი |
| 34 | დაწყებითი სკოლების გამგეების | 2 | 60 | | „ | 108 | 42 | ქუთაისი |
| 35 | ქართული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 104 | 46 | თიანეთი |
| 36 | სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა და მომღერალთა გუნდების ხელმძღვანელთა | 2 | 60 | | „ | 120 | 70 | დუშეთი |
| 37 | ოსური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 140 | 30 | ცხინვალი |
| 38 | სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 140 | 30 | თბილისი |
| 39 | აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | | „ | 140 | 30 | სოხუმი |
| | **სექტემბერი** | | | | | | | |
| 1 | პედაგოგიური კაბინეტების გამგეების | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 132 | 18 | თბილისი |
| 2 | კლასების ხელმძღვანელთა | 1 | 30 | მოუწყ. | 15 დღე | 40 | 8 | „ |
| 3 | კლასების ხელმძღვანელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | „ | „ | 40 | 8 | „ |
| 4 | გახანგრძლივებული დღის კლასების (ჯგუფების) აღმზრდელ-მასწავლებელთა | 1 | 30 | „ | „ | 34 | 18 | „ |
| 5 | ლოგოპედების | 1 | 30 | „ | 1 თვე | 76 | 64 | „ |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ქართული სკოლების დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვე | 104 | 46 | ლაგოდეხი |
| 7 | მათემატიკის მასწავლებელთა (რუსული ჯგუფი) . . . | 1 | 30 | " | 1 თვე | 130 | 20 | სოხუმი |
| 8 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში . . . | 1 | 30 | " | " | 132 | 18 | ქუთაისი |
| 9 | საბავშვო ბაღების მუშაკთა . . . . . . . . | 1 | 30 | " | 15 დღე | 40 | 8 | ცხინვალი |
| | **ოქტომბერი** | | | | | | | |
| 1 | ქიმიის მასწავლებელთა (რუს. ჯგ.) . . . . . . . . | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 104 | 88 | თბილისი |
| 2 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკ. მათემატიკის მასწავლებელთა . . . . . . . . . . | 1 | 30 | " | " | 130 | 20 | " |
| 3 | საბავშვო ბაღების გამგეების . . . . . . . . . | 1 | 30 | " | " | 100 | 50 | " |
| 4 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების (რუსული ჯგ.) . . . . . . . . | 1 | 30 | მოწყ. მოუწყ. | 6 თვე | 340 | 60 | " |
| 5 | ინგლისური ენის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვე | 108 | 102 | " |
| 6 | დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . | 1 | 30 | " | " | 104 | 46 | " |
| 7 | რუსული სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა . . . . . . . . | 1 | 30 | მოუწყ. | 3 თვე | 108 | 42 | თბილისი |
| 8 | ქართული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | მოწყ. | 2 თვე | 280 | 60 | " |
| 9 | რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . | 1 | 30 | მოუწყ. მოუწყ. | 6 თვე | 280 | 60 | " |
| 10 | ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 140 | 30 | ლაგოდეხი |
| 11 | შრომის (ხეზე და ლითონზე) მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . . . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | " | " | 70 | 148 | სოხუმი |
| 12 | ფიზაღზრდის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . . . . | 1 | 30 | " | 15 დღე | 50 | 45 | ცხინვალი |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების | 1 | 30 | მოწყ. | 1 თვე | 132 | 18 | ქუთაისი |
| 14 | საბავშვო ბაღების აღმზრდელთა . . . . . . . | 1 | 30 | " | " | 100 | 50 | " |
| | **ნოემბერი** | | | | | | | |
| 1 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა . . . | 1 | 30 | მოწყ. | " | 140 | 30 | თბილისი |
| 2 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორების . | 1 | 30 | " | " | 132 | 18 | " |
| 3 | სკოლა-ინტერნატების უფროს აღმზრდელთა . . . | 1 | 30 | " | " | 114 | 36 | " |
| 4 | ფიზაღზრდის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) | 1 | 30 | " | " | 100 | 90 | სოხუმი |
| 5 | ბიოლოგიის მასწავლებელთა (რუსული ჯგ.) . . . . . | 1 | 30 | " | " | 106 | 80 | ცხინვალი |
| 6 | რვაწლიანი და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეთა . . . . . . . . . . . . | 1 | 30 | " | " | 132 | 18 | ქუთაისი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 17 მარტის ბრძანება № 264

### ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი გადაჭრით მოითხოვს როგორც სპეციალისტ მათემატიკოსთა დიდი რაოდენობით მომზადებას, ასევე თითქმის ყველა დარგის სპეციალისტების მათემატიკური კულტურის საგრძნობ ამაღლებას.

აქედან გამომდინარე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სკოლებს დროულად მისცა მითითება განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სასკოლო მათემატიკის სწავლების დაკავშირებისათვის პრაქტიკასთან, მაგრამ ისე, რომ მათემატიკური დისციპლინების სწავლების თეორიული დონე არ დაქვეითებულიყო. ამ ნიადაგზე გარდაიქმნა მათემატიკური საგნების პროგრამები რესპუბლიკის იმ სკოლებში, სადაც შემოღებულ იქნა გაძლიერებული სწავლება.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი ცდილობს მათემატიკური დისციპლინების სწავლება ახალ ნიადაგზე დააყენოს და ამ მხრივ აღწევს გარკვეულ წარმატებებს. ასეთი მასწავლებლებია: ლ. გონდაური (77-ე საშ. სკოლა), მ. ბურჭულაძე (მე 15 საშ. სკოლა), აკ. კაკაურიძე (30-ე საშ. სკოლა), ა. ბუაძე (მე-60 საშ. სკოლა), ნ. ტუმიანი, ა. მიქაძე (37-ე საშ. სკოლა) და ვ. ვარშავსკი (56-ე საშ. სკოლა).

მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ სათანადო პასუხისმგებლობით არ ასრულებს თავის მოვალეობას. მე-9, მე-11, მე-12 და 88-ე საშუალო სკოლებში ადგილი აქვს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამიდან ზოგიერთი საკითხის (ნატურალური რიცხ-

ვების ცნება და თვლის სხვადასხვა სისტემა) თვითნებურად ამოღებისა და უმიზნოდ გადაადგილების შემთხვევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათემატიკური დისციპლინების სწავლების საერთო დაბალ დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ზოგიერთი სკოლის მასწავლებელი გაკვეთილისათვის არ ემზადება, მუშაობაში არ აბამს კლასს, არ ზრუნავს დანერგოს მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები და სხვ. ამის შედეგია ის, რომ მე-11 საშ. (მასწ. კ. პენკოვა) და მე-9 საშუალო (მასწ. ბ. ასლანიდი) სკოლების IX კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია. მასწ. ბ. ასლანიდი გაკვეთილის გეგმას არ ადგენს, საკონტროლო წერის რვეულებს სკოლაში არ ინახავს და მოსწავლეებს სახლში ატანს. შემოწმების დღეს მასწ. კ. პენკოვას, როგორც მან განაცხადა, I და II მეოთხედებში ჩაუტარებია საკონტროლო წერები, მაგრამ რვეულები სკოლაში არ აღმოჩნდა. მე-12 საშუალო სკოლის (მასწ. ი. ღაღანიძე) IX კლასის მოსწავლეებმა არ იციან უტოლობის ძირითადი თვისებების მტკიცება, ტოლფუძიანი ხარისხების გამრავლება და სხვ. მოსწავლეებმა $2^n$-ისა და 2-ის ნამრავლი ასე ჩაწერეს: $4^n$. 30-ე (მასწ. ვ. შენგელია) და 88-ე (მასწ. გეგუჩაძე) საშუალო სკოლების X კლასის მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი გეომეტრიაში გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. არა აქვთ სწორი წარმოდგენა ტრიგონომეტრიულ ფუნქციებზე და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. უჭირთ დამოუკიდებლად ტრიგონომეტრიული იგივეობის დამტკიცება, ტრიგონომეტრიული ფუნქციების ჯამის ნამრავლად გარდაქმნა და სხვ.

სკოლებში ჩატარდა საკონტროლო წერები, შედეგები ასეთ სურათს იძლევა: მე-11 საშ. სკოლის IX კლ. (მასწ. კ. პენკოვა) 19 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 13 მოსწავლემ (67 %), მე-12 საშუალო სკოლის (მასწ. ი. ღაღანიძე) 24 მოსწავლიდან—15-მა (62%), 53-ე საშ. სკოლის (მასწ. ნ. სალარიძე) 26 მოსწავლიდან—13-მა (50%).

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მათემატიკის წრის მუშაობა მე-11 საშ. სკოლაში. წრეში ჩაბმულია მხოლოდ V—VIII კლასების მოსწავლეები, რაც შეეხება გაძლიერებულ სწავლებიან კლასების მოსწავლეებს, არცერთი მათგანი წრეში ჩაბმული არ არის.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) სისტემატურად შეამოწმონ მათემატიკის მასწავლებელთა გაკვეთილების გეგმები, ხშირად დაესწრონ გაკვეთილებზე, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზის შედეგად დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) მიაღწიონ იმას, რომ მათემატიკის მასწავლებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პრაქტიკულ სამუშაოებს, დაიწესონ საკონტროლო წერითი სამუშაოების გარჩევა-განხილვა, გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიებანი, რათა სისტემატურად წარმოებდეს პრაქტიკული ვარჯიშობანი და წერითი მუშაობა;

გ) კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებასა და წრეობრივ მუშაობას მათემატიკაში.

2. მათემატიკის მასწავლებლებმა:

ა) აღკვეთონ მათემატიკური წესების და დებულებების შეუგნებლად დაზეპირება, მათემატიკური დებულებების სწავლებისას ძირითად მეთოდად მიიჩნიონ მათი მტკიცების საფუძვლიანი ანალიზი;

ბ) გააძლიერონ კონტროლი მოსწავლეთა საშინაო დავალებების შესრულებაზე, სისტემატურად აწარმოონ საშინაო დავალებათა რვეულების გასწორება;

გ) არ დაუშვან განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში საკითხების თვითნებურად ამოღება ან გადაადგილება;

დ) საკონტროლო წერის რვეულები, როგორც წესი, ყოველთვის სკოლაში იქონიონ;

ე) ამოცანების ამოხსნისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების მიერ აზრის სწორად დალაგებისა და ენობრივი სისწორის დაცვას;

ვ) გეომეტრიაში თეორემების შესწავლასთან დაკავშირებით სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები ამოცანების ამოხსნაზე;

ზ) ტრიგონომეტრიაში სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები ტრიგონომეტრიულ იგივეობათა მტკიცებაზე ტრიგონომეტრიულ ფუნქციების ჯამისა და სხვაობის ნამრავლად გარდაქმნაზე და პირიქით;

თ) სისტემატური ხასიათი მისცენ კლასგარეშე მუშაობას მათემატიკაში (მათემატიკური წრეები, ოლიმპიადებში მონაწილეობა და სხვ.).

3. მათემატიკური დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარე წლის აპრილში მოწვეულ იქნეს ქ. თბილისის

სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა თათბირი განათლების ად-
გილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან ერთად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 12 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

---

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის ერთობლივი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

1965 წლის 26 მარტი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერება ადგილებზე დროულად გაიშალა და ნაყოფიერად მიმდინარეობს.

კასპის სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის საზოგადოებრივი დამთვალიერებელი კომისიის მიერ (თავმჯდომარე ა. ბექანიშვილი) გადადგმული იქნა სერიოზული ნაბიჯები: შედგენილია კონკრეტული სამუშაო გეგმა, გეგმით გათვალისწინებულია სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლის როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, აგრეთვე მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი. მოწინავე გამოცდილების შესწავლა-

განზოგადების მიზნით აღმზრდელ-მასწავლებლები მივლინებულნი იქნენ ქ. კიევსა და ქ. ბაქოში, მივლინების შედეგები გაეცნო შედ-საბჭოს. კომისიას სამუშაო გეგმით გათვალისწინებული აქვს სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის დასავლეთ მხარეს ორმაგი ფანჯრების მოწყობა, გარე კანალიზაციის ჩართვა მთავარ ქსელში, ვენახის ხეივნის მოწყობა 200 გრძივ მეტრზე, 1 ჰექტარი ხეხილის ბაღის გაშენება, სასადილოს გაფართოება დახურული აივნის მოწყობით, ეზოს გამწვანება და სხვა. საზოგადოებრივ დათვალიერებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოფლის მეურნეობის სამმართველო, ელექტრო აპარატურის ქარხნის დირექცია, რაიკომკავშირის გამგეობა და მზრუნველთა საბჭო.

მახარაძის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით საზოგადოებრივი დათვალიერების ჩამტარებელი კომისია დროულად იქნა ჩამოყალიბებული და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა (კომისიის თავმჯდომარე ნ. მდინარაძე). კომისიამ წესრიგში მოიყვანა სასწავლო კორპუსის ცენტრალური გათბობის სისტემა. შეფ-ორგანიზაციას—სოფ. ჯუმათის კოლმეურნეობას დაგეგმილი აქვს სკოლა-ინტერნატის შრომის სწავლებისათვის საჭირო სახელოსნოებისა და სპორტული დარბაზის აგება. შეძენილია სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მაგნიტოფონი, ტელევიზორი და სხვ.

ასევე კარგად მიმდინარეობს საზოგადოებრივი დათვალიერება ქ. ქუთაისში, გორის, თიანეთის, ზუგდიდის, გურჯაანისა და სხვა რაიონებში.

მიუხედავად ამისა, მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში მიმდინარე წლის იანვრის ბოლოსათვის არ იყო გამოყოფილი საზოგადოებრივი დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები, ხოლო აჭარის ასსრ ბათუმის სკოლა-ინტერნატებში კომისიები გამოყოფილი იყო მხოლოდ სკოლა-ინტერნატის თანამშრომელთაგან. ასევე დებულების დარღვევით იქნა შედგენილი კომისია ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონშიც.

საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობის შემოწმებამ ცხადყო აგრეთვე, რომ სკოლა-ინტერნატებში, სპეციალურ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში ბევრი საკითხი მოუგვარებელია: ქ. სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატში სუსტია შიდა-

კონტროლი და ხელმძღვანელობა, არ ეწევა დახმარება დამწყებ მასწავლებლებს, დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე, ფორმალურადაა ჩამოყალიბებული საგნობრივი წრეები, სპორტული მოედნები კეთილმოუწყობელია, ინტერნატს არა აქვს მექანიკური უთო და საშრობი კარადა. ანალოგიური მდგომარეობაა ქ. სოხუმის № 2, ბაბუშერისა და გულრიფშის სკოლა-ინტერნატებში.

მძიმე მდგომარეობაში უხდება მუშაობა ხულოს სკოლა-ინტერნატს. ინტერნატს არ აქვს სამეურნეო კორპუსი, მოუწესრიგებელია ცენტრალური გათბობისა და კანალიზაციის სისტემა, მოუგვარებელია აგრეთვე წყალგაყვანილობა, ეზო კეთილმოუწყობელია, სუსტად მუშაობს მზრუნველთა საბჭო. მსგავსი მდგომარეობაა ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ადიგენის სკოლა-ინტერნატებში.

ახმეტის სკოლა-ინტერნატში არაა წესრიგში მოყვანილი გათბობის ქსელი, სასადილო არაა უზრუნველყოფილი ცხელი წყლით, ნაკლებად ეწყობა აღსაზრდელთა დაბადებისა და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა, ზოგიერთ აღსაზრდელს არა აქვს მორგებული ტანსაცმელი, აკლიათ სახელმძღვანელოები, არაა კვირა და უქმე დღეებისათვის შედგენილი რეჟიმი, ასეთივე მდგომარეობაა კიცხისა და წალენჯიხის სკოლა-ინტერნატებში.

ახალდაბის საბავშვო სახლის ეზო კეთილმოუწყობელია, არაა მოწყობილი სპორტული მოედანი, მოუწესრიგებელია აგრეთვე გათბობის სისტემა, პირსაბნების ონკანებს მოძრობილი აქვს სახელურები, რის გამოც მათი გამოყენება შეუძლებელია, მოუწესრიგებელია ბავშვების ჩაცმულობა, აღსაზრდელთა უმრავლესობას არ აქვს საზამთრო პალტო. საბავშვო სახლში სუსტადაა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა, უმოქმედობს პიონერული ორგანიზაცია. საბავშვო სახლში ანტისანიტარიაა.

კოჯრის მესამე საბავშვო სახლში ბევრგან ჭერი და კედლები ჩამონგრეულია, შენობის ერთი ნაწილი კი ავარიულ მდგომარეობაშია, აბანო და სამრეცხაო კეთილმოუწყობელია.

თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატში სრულებით არაა კანალიზაცია, მოუწესრიგებელია წყალგაყვანილობა, იმის გამო, რომ სასადილოში წყალი შეყვანილი არაა—წყალს ვედროებით ეზიდებიან. საწყობი შეუფერებელ ადგილასაა მოთავსებული, ნაწილი კი დაქირავებულ ბინებშია. სკოლა-ინტერნატს აბანო და სამრეცხაო არა აქვს, ეზო შემოუკავებელია, დამხმარე მეურნეობისათვის გამოყო-

ფილი მიწა უვარგისია. ადგილი აქვს აღსაზრდელთა მიერ უნებართვოდ ინტერნატის ტერიტორიიდან წასვლის შემთხვევებს.

სამტრედიის სკოლა-ინტერნატის ეზო დაჭაობიანებულია და წვიმის დროს მთლიანად იფარება წყლით, კანალიზაცია არ მუშაობს და ბინძური წყლის გასვლა ინტერნატის ეზოდან არ ხდება, რის გამო ეზოში გამეფებულია ანტისანიტარია. მოუწესრიგებელია აგრეთვე წყალსადენი. გათბობის სისტემის ცუდად გაკეთების გამო ოთახები არ თბება, დღემდე მოუწყობელია სამრეცხაო, ტექნიკური მიზეზების გამო აბანო არ მუშაობს. მზრუნველთა საბჭოს მუშაობა და საშეფო ორგანიზაციის დახმარება სუსტია.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სკოლა-ინტერნატები, სპეციალური სკოლა-ინტერნატები და საბავშვო სახლები განიცდიან სახელმძღვანელოების, დახაზულობის მიხედვით რვეულების, ფერადი ფანქრების, სახატავი და სახაზავი რვეულების ნაკლებობას.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელები ვერ ღებულობენ ნორმით გათვალისწინებულ პროდუქტებს, ძალზე მცირე რაოდენობით ღებულობენ ხილს, ბოსტნეულს, ნამცხვარსა და სხვ.

საზოგადოებრივი დათვალიერების ჩამტარებელი კომისიები არასაკმაოდ ზრუნავენ დასახულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და საქ. სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ

დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტების თავმჯდომარეებს, პედაგოგიური საზოგადოების საქალაქო, რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებს, საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მიიღონ გადამჭრელი ზომები ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა უახლოეს ხანში აღმოსაფხვრელად; საზოგადოებრივი დათვალიერების ჩამტარებელი კომისიების მეშვეობით უზრუნველყონ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქ. სსრ განათლების სამინისტროს, განათლების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტისა და პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის 1964

წლის 25 სექტემბრის დადგენილების „სკოლა-ინტერნატების, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ“—განუხრელად შესრულებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ნ. გურგენიძე**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. მაღლაფერიძე**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე—
**დ. ლორთქიფანიძე**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

УТВЕРЖДАЮ
Министр просвещения Грузинской ССР
Т. Лашкарашвили
26 марта 1965 г.

# УКАЗАНИЯ

## о проведении выпускных экзаменов и экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1964—1965 учебном году

1. Учебные занятия в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах в 1964—1965 учебном году заканчиваются 30 апреля.

2. Выпускные экзамены в восьмых классах проводятся с 5 по 13 мая включительно.

3. Экзамены на аттестат о среднем образовании проводятся с 3 по 24 мая включительно.

4. Письменные экзамены в восьмом классе проводятся: по русскому языку—5 мая, по алгебре с арифметикой—10 мая.

5. Письменный экзамен в одиннадцатом классе по литературе (сочинение) проводится—4 мая.

6. Письменный экзамен проводится по текстам, утвержденным Министерством просвещения РСФСР. Для школ, находящихся на территории Грузинской ССР, тексты будут высланы Политическим Управлением Закавказского военного округа.

По всем вопросам подготовки и проведения экзаменов школы должны руководствоваться инструкцией о проведении выпускных экзаменов за курс восьмилетней и средней школы Министерства просвещения РСФСР (см. Сборник приказов и инструкций Министерства просвещения РСФСР № 35, декабрь, 1964 г.).

7. В целях лучшей подготовки и проведения экзаменов в общеобразовательных школах при домах офицеров и офицерских клубах, для оказания необходимой помощи и обеспечения надлежащего контроля за точным соблюдением инструкций Министерства просвещения РСФСР городским и районным отделам просвещения предлагается провести следующие мероприятия:

а) в соответствии с инструкцией до 31 марта 1965 года утвердить состав экзаменационных комиссий для проведения экзаменов на аттестат о среднем образовании в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах;

б) провести инструктивное совещание директоров вышеуказанных школ по вопросам проведения экзаменов;

в) осуществлять систематический контроль за организацией и проведением экзаменов и в случае обнаружения недостатков, принимать совместно с политорганами частей необходимые меры к их устранению;

г) своевременно обеспечить общеобразовательные школы при Домах офицеров и офицерских клубах свидетельствами о восьмилетнем образовании и аттестатами о среднем образовании.

8. Результаты экзаменов и итоги учебного года в общеобразовательных школах при Домах офицеров и офицерских клубах кратко осветить в годовом отчете Министерства просвещения АССР, городских и районных отделов просвещения в разделе о работе вечерних и заочных школ на 1964—1965 учебный год.

**Основание:** Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 26 марта 1965 года.

Начальник Управления вечерних
и заочных школ **Р. Канделаки**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 31 მარტის ბრძანება № 305

დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის თანამდებობათა ნომენკლატურა და დაეგზავნოს იგი ყველა ქვემდებარე დაწესებულებას სახელმძღვანელოდ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ნომენკლატურული თანამდებობათა

## სია

| | დაწესებულების დასახელება | №№ | თანამდებობა |
|---|---|---|---|
| 1 | რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილება | 1 | გამგე |
| | | 2 | გამგის მოადგილე |
| | | 3 | სასკოლო ინსპექტორი (გარდა ქ. თბილისისა)*) |
| 2 | მეთოდური კაბინეტი | 1 | გამგე |
| | | 2 | მეთოდისტი (გარდა ქ. თბილისისა) |
| 3 | საშუალო სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში |
| | | 3 | დირექტორის მოადგილე საწარმოო სწავლების დარგში |
| 4 | რვაწლიანი სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში |
| 5 | მუშა ახალგაზრდობის სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწ. მუშაობის დარგში |

*) ქ. თბილისის განათლების სისტემის ნომენკლატურული თანამდებობანი ცალკე შედგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 6 | სოფლის ახალგაზრდობის სკოლა | 1 | დირექტორი |
| 7 | საშუალო, რვაწლიანი, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლები | 1 | V—VIII და V—XI კლასების მასწავლებელი |
| | | 2 | ლოგოპედი |
| 8 | ბაგა-ბაღი | 1 | გამგე |
| 9 | მუშა ახალგაზრდობის დაუსწრებელი საშუალო სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში |
| | | 3 | მასწავლებელი |
| 10 | სპეციალური სკოლა-ინტერნატი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში |
| | | 3 | მასწავლებელი |
| | | 4 | აღმზრდელი-მასწავლებელი |
| | | 5 | ექიმი |
| | | 6 | ბუხჰალტერი |
| | | 7 | დამხმარე წარმოების და საწარმოო სახელოსნოს გამგე |
| | | 8 | დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში |
| 11 | სკოლა-ინტერნატი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში |
| | | 3 | უფროსი აღმზრდელი |
| | | 4 | დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | | 5 | მასწავლებელი |
| | | 6 | აღმზრდელი-მასწავლებელი |
| | | 7 | ბუხჰალტერი |
| 12 | საბავშვო სახლი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის დარგში |
| | | 3 | V—XI კლასების აღმზრდელი |
| | | 4 | შრომის ინსტრუქტორი |
| 13 | პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში |
| | | 3 | მასწავლებელი |
| | | 4 | აღმზრდელი-მასწავლებელი |
| | | 5 | ბუხჰალტერი |
| 14 | ქ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში |
| | | 3 | განყოფილების გამგე |
| | | 4 | კაბინეტის გამგე |
| | | 5 | საგნობრივი წრეების მასწავლებლები |
| | | 6 | მთავარი ბუხჰალტერი |
| | | 7 | დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 15 | ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგური | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე |
| | | 3 | კაბინეტის გამგე |
| | | 4 | ბუხჰალტერი |
| 16 | ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგური | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე |
| | | 3 | კაბინეტის გამგე |
| | | 4 | ბუხჰალტერი |
| 17 | მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი, | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეთოდისტი |
| | | 3 | ბუხჰალტერი |
| 18 | მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეთოდისტი |
| | | 3 | ბუხჰალტერი |
| 19 | პოლიტექნიკური და საწარმოო სწავლების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეთოდისტი |
| | | 3 | ბუხჰალტერი |
| 20 | ი. გოგებაშვილის სახ. სახალხო განათლების ბიბლიოთეკა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე |
| | | 3 | ბიბლიოთეკარი |
| 21 | საბავშვო სათამაშოების მუზეუმი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეცნიერ მუშაკი |
| | | 3 | ბუხჰალტერი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 22 | სახალხო განათლების მუზეუმი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეცნიერ მუშაკი |
| | | 3 | ბუხჰალტერი |
| 23 | ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი | 1 | გ ა მ გ ე |
| | | 2 | გამგის მოადგილე |
| | | 3 | მეთოდისტი-მწვრთნელი |
| | | 4 | მეთოდისტი |
| | | 5 | ბუხჰალტერი |
| 24 | უფროს პიონერხელმძღვანელთა რესპ. სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მასწავლებელი |
| 25 | საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში |
| | | 3 | კაბინეტის გამგე |
| | | 4 | მეთოდისტი |
| | | 5 | ბუხჰალტერი |
| | | 6 | დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში |
| 26 | მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი ქ. ქუთაისში | 1 | ფილიალის დირექტორი |
| | | 2 | კაბინეტის გამგე |
| | | 3 | მეთოდისტი |
| | | 4 | ბუხჰალტერი |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 27 | პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში |
| | | 3 | სექტორის გამგე |
| | | 4 | სწავლული მდივანი |
| | | 5 | ასპირანტურის გამგე |
| | | 6 | უფროსი მეცნიერ მუშაკი |
| | | 7 | მეცნიერ მუშაკი |
| | | 8 | უმცროსი მეცნიერ მუშაკი |
| | | 9 | დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში |
| | | 10 | ბუხჰალტერი |
| 28 | სტენოგრაფიისა და მანქანაზე წერის რესპუბლიკური სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მასწავლებელი |
| 29 | გაზეთი „სახალხო განათლება" | 1 | რედაქტორი |
| | | 2 | რედაქტორის მოადგილე |
| | | 3 | პასუხისმგებელი მდივანი |
| | | 4 | განყოფილების გამგე |
| | | 5 | ლიტმუშაკი |
| | | 6 | ბუხჰალტერი |
| 30 | ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება" | 1 | რედაქტორი |
| | | 2 | პ/მგებელი მდივანი |
| | | 3 | განყოფილების გამგე |
| | | 4 | ლიტმუშაკი |
| | | 5 | ბუხჰალტერი |
| 31 | საქ. სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან არსებული სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო ბიურო | 1 | უფროსი |
| | | 2 | ინჟინერი |
| | | 3 | ბუხჰალტერი |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 32 | საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებასთან არსებული ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფი | 1 | ჯგუფის უფროსი |
| | | 2 | უფროსი ტექნიკური ზედამხედველი |
| | | 3 | ინჟინერ-ტექნიკური ზედამხედველი |
| | | 4 | ბუხჰალტერი |
| 33 | მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველო | 1 | უფროსი |
| | | 2 | განყოფილების უფროსი იგივე უფროსის მოადგილე |
| | | 3 | განყოფილების უფროსი |
| | | 4 | საქონლის მცოდნე |
| | | 5 | ეკონომისტი |
| | | 6 | ბუხჰალტერი |
| | | 7 | ბაზის გამგე |
| | | 8 | საბაზო მაღაზიის გამგე |
| 34 | ელფია-ბეთანიის დამხმარე მეურნეობა | 1 | მეურნეობის დირექტორი |
| | | 2 | ბუხჰალტერი |
| 35 | საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპორტული სკოლა | 1 | დირექტორი |
| | | 2 | დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში |
| | | 3 | უფროსი მწვრთნელი |
| | | 4 | მწვრთნელი |
| | | 5 | დირექტორის მოადგილე სამეურნეო დარგში |
| | | 6 | უფროსი ბუხჰალტერი |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| 36 | **აფხაზეთისა და აჭარის ასსრ** | | |
| | 1. განათლების სამინისტრო | 1 | მინისტრი |
| | | 2 | მინისტრის მოადგილე |
| | | 3 | განყოფილების გამგე |
| | 2. განათლების განყოფილება | 1 | გ ა მ გ ე |
| | 3. სკოლა-ინტერნატი | 1 | დირექტორი |
| | 4. საბავშვო სახლი | 1 | დირექტორი |
| | 5. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეთოდისტი |
| | 6. ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმი | 1 | დირექტორი |
| | 7. საბავშვო სახლი | 1 | დირექტორი |
| 37 | **სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი** | | |
| | 1. ოლქის განათლების განყოფილება | 1 | გ ა მ გ ე |
| | | 2 | გამგის მოადგილე |
| | | 3 | სექტორის გამგე |
| | 2. რაიონისა და ქალაქის განათლების განყ-ბა | 1 | გ ა მ გ ე |
| | 3. სკოლა-ინტერნატი | 1 | დირექტორი |
| | 4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფილიალი | 1 | დირექტორი |
| | | 2 | მეთოდისტი |
| | 5. საბავშვო სახლი | 1 | დირექტორი |
| 38 | საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატი | 1 | სამმართველოს უფროსი |
| | | 2 | განყოფილების უფროსი |
| | | 3 | სამმართველოს უფროსის მოადგილე |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| | | 4 | განყ. უფ. მოადგილე |
| | | 5 | მინისტრის თანაშემწე |
| | | 6 | მთავარი ბუხჰალტერი |
| | | 7 | უფროსი ინსპექტორი |
| | | 8 | სასკოლო ინსპექტორი |
| | | 9 | ინსპექტორ-მეთოდისტი |
| | | 10 | ინსპექტორ-რევიზორი |
| | | 11 | მეთოდისტი |
| | | 12 | ინსპექტორი |
| | | 13 | მთავარი ბუხჰალტრის მოადგილე |
| | | 14 | უფროსი ბუხჰალტერი |
| | | 15 | უფროსი ეკონომისტი |
| | | 16 | ეკონომისტი |
| | | 17 | სტატისტიკოსი |
| | | 18 | კანცელარიის გამგე |
| | | 19 | არქივის გამგე |
| | | 20 | სათამაშოების სამხატვრო ტექნიკური კომისიის პ/მგე-ბელი მდივანი |
| | | 21 | უფროსი ინჟინერი |
| | | 22 | ინჟინერი |
| | | 23 | უფროსი რევიზორი |
| | | 24 | რევიზორი |
| | | 25 | მემანქანეთა ბიუროს გამგე |
| | | 26 | მდივნები და მდივან-მემან-ქანეები |

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 2 აპრილის ბრძანება № 324

### თბილისის ზოგიერთ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობისა და სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 ივნისის № 636 ბრძანების შესასრულებლად ქ. თბილისის განათლების ორგანოებისა და სკოლების მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების საქმეში.

რიგ სკოლებში (მე-19, 22-ე, 37-ე, 43-ე, 64-ე, 71-ე, 77-ე, 87-ე) საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ხარისხი, მოსწავლეებს კარგად აქვთ შეთვისებული საპროგრამო მასალა, სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული კლასგარეშე სპორტული მუშაობა, ფართოდ ტარდება შინასასკოლო შეჯიბრებები, სასკოლო სპარტაკიადები, სპორტული საღამოები, მასობრივი ტურისტული ლაშქრობანი და სხვა სახის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი.

ბევრი სკოლა (52-ე, 64-ე, 87-ე, 88-ე) წარმატებით ასრულებს სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმას.

სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კადრებით. გაუმჯობესდა ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა რაიონული მეთოდური გაერთიანებების მუშაობა (ორჯონიკიძისა და კიროვის სახელობის რაიონები).

ერთგვარად გაუმჯობესდა მატერიალური ბაზა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის.

ამასთან ერთად ამ საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

ბევრ სკოლაში ფიზიკური აღზრდა ჯერ კიდევ არ სწარმოებს სათანადოდ დადგენილი სისტემის მიხედვით, სუსტია გაკვეთილის ორგანიზაცია. ზოგჯერ ადგილი აქვს ფორმალიზმს სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის ჩატარებაში. არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა დასწრება გაკვეთილებზე (28-ე, 46-ე, 60-ე, 62-ე, 106-ე სკოლებში), ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა განთავისუფლება ფიზკულტურის გაკვეთილებიდან ხდება ზერელე საექიმო შემოწმების შედეგად და მეცადინეობიდან განთავისუფლებულ მოსწავლეთა სია არ ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით. ბევრგან არ წარმოებს მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება და სამედიცინო ჯგუფებად დაყოფა სასწავლო წლის დაწყებისთანავე, არ ტარდება მეცადინეობა ცალკე სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლეებთან.

კლასიდან კლასში გადასაყვანი შეფასება ფიზიკურ კულტურაში ბევრგან არ არის გამოყენებული როგორც საშუალება სასწავლო მუშაობის ასამაღლებლად ამ საგანში.

ცუდად არის დაყენებული სასწავლო მუშაობა შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლასების უმრავლესობაში. ბევრგან დაწყებითი კლასების მასწავლებლებს არ გააჩნიათ მეთოდური და დამხმარე ლიტერატურა; ზოგჯერ გაკვეთილები ფიზკულტურაში გადაქცეულია დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის განაკვეთის შესავსებად, რის შედეგადაც ფიზკულტურის მასწავლებლებს შემდგომ კლასებში საპროგრამო მასალის გავლა ხელახლა უხდებათ.

მთავარი ნაკლოვანებანი კლასგარეშე ფიზკულტურულ მუშაობაში იმაში მდგომარეობს, რომ მას ბევრ სკოლაში არ აქვს მიღებული მასობრივი ხასიათი, რის შედეგადაც სპორტულ სექციებში და შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეთა უმნიშვნელო ნაწილია ჩაბმული. 26-ე, 28-ე, 50-ე და 114-ე საშუალო სკოლებში სპორტული სექციები ფორმალურად არსებობენ; ამ სკოლებში არ ტარდება სისტემატურად შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში და სხვა მასობრივი სპორტული ღონისძიებანი. მე-60 საშუალო სკოლის 1800 მოსწავლიდან კლასგარეშე სპორტულ მუშაობაში ჩაბმულია მხოლოდ 35 მოსწავლე, ხოლო 62 საშუალო სკოლის 2000 მოსწავლიდან—57 მოსწავლე. მე-60 სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე არ განუხილავთ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა კალენდარი, იგი არ არის დამტკიცებული სკოლის ადმინისტრაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ, არ სწარმოებს ჩატარებული შეჯიბრებების შედეგების განხილვა.

სკოლების მნიშვნელოვან ნაწილს არა აქვს შექმნილი აუცილებელი პირობები მეცადინეობის ნორმალურად ჩასატარებლად ფიზკულტურაში (39-ე, 59-ე, 65-ე, 75-ე, 102-ე, 103-ე, 106-ე, და სხვ.), არ გააჩნიათ სპორტული დარბაზები და მოედნები, მეცადინეობა ტარდება შეუფერებელ შენობებში, ვიწრო დერეფნებში სათანადო სპორტული ფორმის გარეშე, ხშირ შემთხვევებში კი ღია ცის ქვეშ დაბალი ტემპერატურის დროს ყოველდღიური ტანსაცმელითა და ფეხსაცმელით. ბევრი სკოლის (52-ე, 54-ე, მე-60, 62-ე, 83-ე, 123-ე) სპორტული დარბაზების გასახდელი ოთახები არადანიშნულებით არის გამოყენებული და მოსწავლეები ტანსაცმელს რატაკზე აწყობენ. 46-ე საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში მინები ჩამტვრეულია, არ არის ტანვარჯიშული კედელი, დარბაზში ანტისანიტარიაა, მოუწყობელია სკოლის სპორტული მოედანი.

ფიზიკური აღზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი იმის შედეგიც არის, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი შეუფასებლობას იჩენს ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი. სკოლების ხელმძღვანელები იშვიათად ან სრულებით არ ესწრებიან მეცადინეობას ფიზკულტურაში, არ უწევენ სათანადო დახმარებასა და კონტროლს ფიზკულტურის მასწავლებლებს სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ასე მაგალითად, 75-ე საშუალო სკოლის ხელმძღვანელებს მიმდინარე სასწავლო წლის განმაელობაში არცერთი გაკვეთილი არ მოუსმენიათ ფიზკულტურაში.

განათლების განყოფილებები სკოლების ინსპექტირების დროს სათანადოდ არ სწავლობენ ფიზიკური აღზრდის მდგომარეობას, ფიზიკური კულტურის მასწავლებლებსა და სკოლებს არ უყენებენ იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ სასწავლო პროგრამების შინაარსისა და ფიზიკური აღზრდის საერთო ამოცანებიდან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) მოსწავლეთა შორის სასწავლო, სპორტული და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, გაზარდონ მომთხოვნელობა ფიზიკური კულტურის მასწავლებლების, სკოლის ექიმებისა და კლასების ხელმძღვანელებისადმი. მათზე სისტემატური დახმარებისა და კონტროლის გაწევით უზრუნველყონ ფიზიკუ-

რი კულტურის გაკვეთილების სწორი დაგეგმვა, გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესება, კლასგარეშე სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ჯეროვან დონეზე დაყენება;

ბ) სისტემატურად დაესწრონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს, უზრუნველყონ ფიზკულტურის მასწავლებლების მიერ სასწავლო პროგრამის მოთხოვნების აუცილებელი შესრულება; რეგულარულად განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მუშაობის საკითხები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ნორმალური პირობების შექმნას ფიზიკური კულტურის სახელმწიფო პროგრამის შესრულებისათვის;

გ) ორგანიზაციულად განამტკიცონ სასკოლო ფიზიკური კულტურის კოლექტივები, გადააქციონ ისინი მოსწავლეთა გამაჯანსაღებელ და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის კერად.

დ) არ დაუშვან ფიზიკური კულტურის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა განთავისუფლება ზერელე საექიმო შემოწმების მიხედვით. სკოლის ექიმთან, ფიზიკური კულტურის მასწავლებლებთან და კლასის ხელმძღვანელებთან ერთად შეისწავლონ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური განვითარების მდგომარეობა. სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეებთან ჩაატარონ სამკურნალო ფიზკულტურა და ჰიგიენური ტანვარჯიში—ექიმისა და ფიზიკური კულტურის მასწავლებლის მიერ წინასწარ შედგენილი ვარჯიშებით;.

ე) სათანადო მუშაობა ჩაატარონ მოსწავლეებთან, მშობლებთან და კლასის ხელმძღვანელებთან ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეების სპორტულ ფორმაში გამოცხადების შესახებ, მიაღწიონ იმას, რომ ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეები ცხადდებოდნენ სათანადო სპორტული ფორმით;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკურ და ჰიგიენურ აღზრდას. მეთოდურ გაერთიანებაში ჩააბან დაწყებითი კლასის მასწავლებლები;

ზ) სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული მოედნები. მოაწყონ კალათბურთისა და ფრენბურთის, მოძრავ თამაშობათა და განსაკუთრებით კი მძლეოსნური სექტორები (სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმო, ადგილი ტყორცნისათვის, სარბენი ბილიკი და სხვ.);

თ) რეგულარულად ჩაატარონ სწავლის დაწყებამდე დილის გამაჯანსაღებელი ტანვარჯიში. იზრუნონ ნიშნოსანთა და სპორტ-

სმენ თანრიგოსანთა მომზადებისათვის. სათანადო ყურადღება დაუთმონ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების (სპორტული მსაჯები, ფიზკულტურული ორგანიზატორები) მომზადებას. სპორტულ მეცადინეობებში მოსწავლეთა მასობრივი ჩაბმის მიზნით გაზარდონ თითოეულ სპორტულ სექციაში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა;

ი) სპორტული დარბაზის რემონტი ჩაატარონ სკოლის რემონტთან ერთად, მოაწესრიგონ დარბაზის გათბობა, უზრუნველყონ იგი ტაბელით გათვალისწინებული სპორტული ინვენტარითა და იარაღებით. დარბაზების გაუქმებული გასახდელი ოთახები დაუყოვნებლივ აღადგინონ და სათანადოდ მოაწყონ.

სათანადო ყურადღება მიაქციონ ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩასატარებელ ადგილზე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას;

2. ქ. თბილისის და მისი რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად ქ. თბილისისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან შექმნან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბჭოები;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ფიზიკური აღზრდის დაყენებაზე სკოლებში. დასახონ და გაატარონ სათანადო ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფიზიკური აღზრდის, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას; გაზარდონ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში. მკაცრი ზომები მიიღონ იმ სკოლების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც შეუფასებლობას იჩენენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი; სისტემატურად შეამოწმონ სკოლების მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში საკითხი განიხილონ სახალხო განათლების საბჭოს ან აღმასკომების სხდომებზე;

გ) ქ. თბილისისა და რაიონების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებთან ერთად შეამოწმონ და მიიღონ ერთობლივი ღონისძიება სკოლაში მოსწავლეთა სამედიცინო ჯგუფებად დაყოფის შესახებ;

დ) მიიღონ საჭირო ზომები სკოლების სასპორტო ბაზების სრულ წესრიგში მოყვანისა და მოწყობისათვის სასწავლო ინვენტა-

რითა და სპორტული იარაღებით უზრუნველყოფისათვის. მაქსიმალურად გამოიყენონ ამ საქმეში შეფი ორგანიზაციების დახმარება. უზრუნველყონ მოსწავლეთა სასკოლო რაიონული და საქალაქო სპარტაკიადების ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარება.

ე) შეისწავლონ სუსტი მატერიალური ბაზის მქონე სკოლებთან ახლო მდებარე სხვა უწყებების სპორტულ ნაგებობათა გამოყენების შესაძლებლობანი და სათანადო ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მიაღწიონ შეთანხმებას ამ ბაზებზე ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარების შესახებ;

ვ) სათანადო ყურადღება დაუთმონ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, გააუმჯობესონ ფიზკულტურის მასწავლებელთა სასკოლო და რაიონული მეთოდური გაერთიანებების მუშაობა; სისტემატურად გააცნონ მასწავლებლებს მოწინავე გამოცდილება, უახლესი მიღწევები ფიზიკური აღზრდის თეორიის დარგში; რეგულარულად მოაწყონ ფიზკულტურულ და პედაგოგიურ ჟურნალებში ფიზიკური აღზრდის მეთოდიკის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების განხილვა.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (თ. ეგაძე):

ა) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 ივნისის № 636 ბრძანების შესაბამისად შეიმუშაოს გეგმა სპორტული ბაზების (დარბაზები, კლასები) მიშენების შესახებ 1965—1966 წლებში იმ სკოლებთან, რომლებსაც საკუთარი სპორტული ბაზები არ გააჩნიათ და დააყენოს საკითხი ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე ამ ბაზების მშენებლობის განხორციელების შესახებ როგორც სკოლების კაპიტალური რემონტის, ისე ჭარბი შემოსავლისა და კაპიტალურ დაბანდებათა თანხებიდან;

ბ) მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს დაწყებით კლასებში ფიზკულტურის სწავლების მდგომარეობა და იქ, სადაც მასწავლებლებს რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლიათ საპროგრამო მასალის სწავლების უზრუნველყოფა ამ საგანში, შეცვალონ ისინი სათანადო სპეციალისტებით;

გ) მიიღოს ზომები ქალაქის პედაგოგიური კაბინეტის ფიზიკური აღზრდის სექციის მუშაობის გასაუმჯობესებლად;

დ) ეს ბრძანება განიხილოს სკოლებში პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე;

ე) ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე მოახსენოს გა-

ნათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე.

4. ეთხოვოს ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დააჩქაროს მიწის ნაკვეთის გამოყოფა კალინინის, ორჯონიკიძის ან 1-ლი მაისის სახელობის რაიონში წყალთა სახეობის ბავშვთა სპორტული სკოლის საცურაო აუზის მშენებლობისათვის და გამოყოს სათანადო მიწის ნაკვეთები ფეხბურთისა და სპორტულ თამაშობათა სკოლების მშენებლობისათვის.

5. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) და ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა (გ. მერკვილაძე) კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 12 მარტის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 3 აპრილის ბრძანება № 334

### სიღნაღის, წულუკიძისა და ხობის რაიონების საღამოს და დაუსწრებელი სკოლების დაკომპლექტებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების მდგომარეობის შესახებ

როგორც შემოწმებით გამოირკვა, მიმდინარე სასწავლო წელს სიღნაღის, წულუკიძისა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებები და საღამოს და დაუსწრებელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები გარკვეულ მუშაობას ატარებენ საღამოს და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეებით დაკომპლექტებისა და არსებული კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში; ასე, მაგალითად, ქ. წულუკიძის დაუსწრებელ საშუალო სკოლაში (დირექტორი ვ. ქობალია), სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული 127 ახალგაზრდის ნაცვლად, სწავლობს 200 მოსწავლე; ხობის რაიონის ქვემო ქვალონის სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 102 მოსწავლისა, ჩაბმულია სწავლებაში 114 ახალგაზრდა.

– მაგრამ ამასთან აღსანიშნავია, რომ ხსენებული რაიონების მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებს ამ საქმეში აქვთ სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებიც: სიღნაღის რაიონის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ნაცვლად სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული 541 მოსწავლისა, ჩაბმულია სწავლაში 458 კაცი, მიუხედავად იმისა, რომ რაიონში აღრიცხულია სწავლებაში ჩაუბმელი რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე 477 ახალგაზრდა; წულუკიძის რაიონში სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული 862 ახალგაზრდის ნაცვლად, სწავლებაშია ჩაბმული მხოლოდ 771 მოსწავლე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ხობის რაიონში, სადაც სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას აკლია 67 მოსწავლე, და ეს მაშინ, როცა

რაიონში აღრიცხულია სწავლებაში ჩასაბმელი საშუალო განათლების არმქონე 431 ახალგაზრდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოხსენებულ რაიონებში ირღვევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 25 თებერვლის № 1/328 განკარგულება, რომელიც კატეგორიულად კრძალავს საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდობის მიღებას; ასე, მაგალითად, ხობის რაიონის საღამოს სკოლებში სასკოლო ასაკის 75 ახალგაზრდა სწავლობს, წულუკიძის რაიონში—40 და ა. შ.

ამ ტიპის სკოლებში ძალიან მცირე რაოდენობით სწავლობენ ქალები; მაგალითად, სიღნაღის რაიონის საღამოს სკოლებში სწავლებაში ჩაბმული 469 მოსწავლიდან ქალია მხოლოდ 14.

არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად: სიღნაღის რაიონის საღამოს სკოლებს მიმდინარე სასწავლო წელში ჩამოშორდა 87 მოსწავლე. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ ზოგი სკოლის ხელმძღვანელი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს სასწავლო წლის მანძილზე სკოლიდან ამა თუ იმ მიზეზით გასული მოსწავლის შემდგომი ბედით; ქ. წულუკიძის მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. რუხაძე) პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრებისა და ქ. ქუთაისის ორჯონიკიძის სახ. ავტოქარხანაში სამუშაოდ გაგზავნის გამო, გავიდა 31 მოსწავლე, რომელთა ნაწილი, როგორც გამოირკვა, დღემდე არ აგრძელებს სწავლას.

სიღნაღისა და ხობის რაიონების განათლების განყოფილებებმა დააგვიანეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების დირექტორებისა და სასწავლო ნაწილში მათი მოადგილეების ხელფასების მეორე ტარიფიკაცია, რომელიც მესამე მეოთხედის დასაწყისში უნდა ჩატარებულიყო.

რაიონებსა და სკოლებს ადგილებზე დღემდე არ აქვთ შედგენილი რვაწლიანი განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლების პერსპექტიული გეგმა, რომლითაც ამ კატეგორიის ახალგაზრდების სწავლება უნდა დამთავრდეს 1970 წლამდე.

სიღნაღის, წულუკიძისა და ხობის რაიონებში მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დასახმარებლად დღემდე არ არის შექმნილი მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისიები.

ზემოაღნიშნული და სხვა მსგავსი ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ სიღნაღის, წულუკიძისა და ხობის რაიონების გა-

ნათლების ორგანოები და პედაგოგიური კოლექტივები არადამაკმა-ყოფილებელ მუშაობას ატარებენ, ერთი მხრივ, სწავლებაში ჩაბმულ და ჩასაბმელ ახალგაზრდობასთან და, მეორე მხრივ, სათანადო წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სიღნაღის, წულუკიძისა და ხობის რაიონების საღამოს და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებმა:

ა) ზუსტად აღრიცხონ რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობა და მიაღწიონ სწავლებაში მათ ჩაბმას;

ბ) კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესასრულებლად გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. ამ მიზნით საქმიანი კავშირი დაამყარონ წარმოება-დაწესებულების ადმინისტრაციასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მიაღწიონ მათ დაინტერესებას რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმით;

გ) სათანადო ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოებთან ერთად შეადგინონ რვაწლიანი განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლების პერსპექტიული გეგმა იმ ანგარიშით, რომ 1970 წლისათვის დამთავრდეს ამ კონტინგენტთან მუშაობა;

დ) მიიღონ ზომები სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად. მიაღწიონ სწავლის გაგრძელებას იმ მოსწავლეთა მიერ, რომლებმაც სასწავლო წლის მანძილზე სხვადასხვა მიზეზით გამოიცვალეს სამუშაო ადგილი;

ე) აღკვეთონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ სკოლებში 16 წლის ასაკამდე ახალგაზრდობის მიღება. ამ საქმეში მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 15 მარტს დამტკიცებული „მითითებებით საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“;

ვ) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მუშაობისათვის დახმარების მიზნით დაუყოვნებლივ შექმნან ხელშემწყობი კომისიები, განათლების სამინისტროს 1960 წლის 14 ოქტომბერს დამტკიცებული დებულების მიხედვით.

2. სიღნაღის, წულუკიძის და ხობის რაიონების განათლების

განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ე. დალაქიშვილმა, გ. თევდორაძემ, შ. ხარებავამ).

ა) მიიღონ ზომები მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

ბ) უზრუნველყონ ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა;

გ) მიაღწიონ საღამოს და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა მიერ კანონით დაწესებული შეღავათებით დაუბრკოლებლივ სარგებლობას.

3. განათლების სამინისტროს საღამოს და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში შეამოწმოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების მიერ კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების, მოსწავლეთა არსებული რაოდენობის შენარჩუნების საკითხები და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 5 აპრილის ბრძანება № 338

### გარდაბნის რაიონში სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ გარდაბნის რაიონში სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებული იყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის სახელმწიფო გეგმით, დღემდე არ დაწყებულა, რაც უნდა მიეწეროს ამ საქმისადმი რაიონის განათლების განყოფილებისა და განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.

განათლების განყოფილების გამგემ ამხ. გ. რაზმაძემ, ნაცვლად იმისა, რომ კაპიტალური მშენებლობის განყოფილებისაგან მიღებული ტექნიკური დოკუმენტაცია გადაეცა მშენებელ ორგანიზაციაზე და გაეფორმებინა ხელშეკრულება, ეს დოკუმენტაცია გადასცა კოჯრის მეექვსე საბავშვო სახლის დირექტორს და ამით დაკმაყოფილდა. ხოლო კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერ-ტექზედამხედველმა ამხ. გ. სუხიშვილმა გამოიჩინა საქმისადმი უყურადღებობა და არ მიიღო საჭირო ქმედითი ზომები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, რის შედეგად 1964 წელს ჩაიშალა გარდაბნის რაიონში საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და არ იქნა ათვისებული ამ დანიშნულებით მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხები, გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. რაზმაძეს და კაპიტალური მშენებლობის ტექზედამხედველს ამხ. გ. ს. სუხიშვილს გამოეცხა-

დოთ საყვედური და გაფრთხილებულნი იქნენ, რომ შემდგომში მსგავსი შემთხვევისათვის ისინი სასტიკად დაისჯებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 26 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 5 აპრილის ბრძანება № 339

### ვანისა და წალენჯიხის რაიონების სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების მდგომარეობის შესახებ

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში სწორადაა გაგებული შრომითი სწავლების მიზანი და ამოცანები. ისინი სერიოზულად ეკიდებიან ამ საქმეს და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ.

სკოლებში მოწყობილია სახელოსნოები (სადურგლო და საზეინკლო), დამონტაჟებულია სხვადასხვა სახის ჩარხები და დაზგები. აქვთ სამუშაო იარაღები, ხელსაწყოები, დასამუშავებელი მასალა და სხვ.

ვანის რაიონის ტობანიერის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი გ. მეფარიშვილი და სახელოსნოს გამგე მასწავლებელი აკ. ძაძუაშვილი) სახელოსნოში აქვთ ხის დასამუშავებელი სახარატო, სარანდი და სალესი ჩარხები. თითოეულ მოსწავლეს მიჩნეული აქვს სამუშაო ადგილი და ხელსაწყო-იარაღები. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ტექნოლოგიას, მასალათა დამუშავების წესებს, მექანიზირებული საწარმოს მუშაობის პრინციპებს.

ამ სკოლის V—VIII კლასების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა შრომისადმი დიდ ინტერესს იჩენს. გასულ წელს მათ დაამზადეს 32 მერხი, ხოლო ამჟამად ამზადებენ 30 მერხს. აღსანიშნავია, რომ მერხის თვითეული დეტალის დამზადება მიმდინარეობს პროგრამის შესაბამისად (ხერხვა, რანდვა, დეტალების შეერთება, წებოს მომზადება და სხვ.).

ვანის საშუალო სკოლის (დირექტორი მ. მესხი) სასწავლო სახელოსნოში (სადურგლო და საზეინკლო) დადგმულია სხვადასხვა ჩარხი, მოწესრიგებულია ელექტროგაყვანილობა, დაცულია უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის წესები. საკმაო რაოდენობით აქვთ იარაღები მერქანზე და ლითონზე მუშაობისათვის სახე-

ლოსნოში (გამგე რ. ორმოცაძე), მოწყობილია მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრების სტენდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანის და წალენჯიხის რაიონების სკოლები უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთებით, რომელზედაც მოსწავლეები ეწევიან საცდელ-პრაქტიკულ მუშაობას.

ვანის რაიონის სკოლების მოსწავლეებმა შეაგროვეს და კოლმეურნეობებს გადასცეს თავიანთ ბაღებში გამოყვანილი ხეხილკენკროვან მცენარეთა 34 ათასამდე სტანდარტული ნერგი.

მიუხედავად ამისა, შემოწმების შედეგად გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები. შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში სახელოსნოები არ არის მოწყობილი. მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოები არ პასუხობენ სასწავლო ამოცანებს და არა აქვთ საზოგადოებრივ-სასარგებლო ხასიათი.

ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. სალრიშვილი) სახელოსნო დაუმთავრებელ შენობაშია მოთავსებული. ცუდი ამინდის დროს სახელოსნოში მუშაობა არ შეიძლება. ანალოგიური მდგომარეობაა წალენჯიხის რაიონის ჯგალისა (დირექტორი ს. კვარაცხელია) და ჯვარის (დირექტორი ი. ჭანტურია) საშუალო სკოლებში.

წალენჯიხის რაიონის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. ჩიქობავა) და ვანის რაიონის ყუმურის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ულრელიძე) სახელოსნოები (სადურგლო და საზეინკლო) მოთავსებულია მეტად პატარა ოთახებში.

შრომითი სწავლების მასწავლებლებად და სახელოსნოს გამგეებად ძირითადად ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირები და არასპეციალისტები მუშაობენ. მათ არ შეუძლიათ მოსწავლეებს მისცენ საჭირო ახსნა-განმარტება და სწორი ტექნიკური მიმართულება.

წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში სადურგლო და საზეინკლო საქმეს მათემატიკისა და გერმანული ენის მასწავლებლები გ. საჯაია და ს. მებონია ასწავლიან, ჯვარის საშუალო სკოლაში—გ. იაკობია, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი აქვს დამთავრებული, ხოლო ყუმურის საშუალო სკოლის სახელოსნოს გამგე ნ. პაიჭაძე და ისრითის საშუალო სკოლის სახელოსნოს გამგე შ. დვალიშვილი ზოგადი საშუალო განათლებით არიან. ჯგალის საშუალო სკოლის VI კლასში (მასწ. რ. კვარაცხელია) დარღვეულია მეცადინეობათა მონაცვლეობა სადურგლო-სა-

ზეინკლო საქმესა და მეოჯახეობას შორის. ვაჟები და გოგონები ერთდროულად მუშაობენ სახელოსნოში. მოსწავლეებს არ აქვთ სადურგლო და საზეინკლო იარაღების გამოყენების ჩვევები. ვაჟებმა ვერ შესძლეს მიცემული ნახაზის მიხედვით დაემზადებინათ სკამის ფეხი. ამავე გაკვეთილზე დარღვეული იყო უსაფრთხოებისა და საწარმოო სანიტარიის წესები. გირაგსა და დასამუშავებელ მასალას ნაქლიბისაგან ხელის გადასმით ან შებერვით ასუფთავებდნენ.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის და ვანის რაიონის ისრითის საშუალო სკოლებში არ აქვთ მოსწავლეთა ნამუშევრები სადურგლო და საზეინკლო საქმეში.

ისრითისა და ჯვარის საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული და გამოყენებული გასულ წელს მიღებული ჩარხები, ხოლო ისრითის, ყუმურის, ჯგალისა და ჯვარის საშუალო სკოლებში მოუვლელობით ზიანდება სამუშაო იარაღები.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება საცდელ-პრაქტიკული მუშაობა სოფლის მეურნეობაში. საცდელ-პრაქტიკული მუშაობის საათები ცხრილში შეტანილია მთელი წლის მანძილზე, რითაც დარღვეულია მისი სწავლების სეზონურობა.

ჯგალის საშუალო სკოლის (დირექტორი ს. კვარაცხელია) V და VI კლასების განაყოფ ჯგუფებში ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლის, როდესაც სკოლაში არის მეორე ბიოლოგი. საკლასო ჟურნალში საცდელ-პრაქტიკულ მუშაობაში არც ერთი ჩანაწერი არ არის წარმოებული. არ არის ჩატარებული მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასება და არც მეოთხედური ნიშნებია გამოყვანილი. ანალოგიური მდგომარეობაა მეოჯახეობაში, აგრეთვე სადურგლო და საზეინკლო საქმეშიაც (მასწავლებელი მ. ფიფია, რ. კვარაცხელია).

სოფლის მეურნეობაში საცდელ-პრაქტიკული მუშაობა პროგრამის შესაბამისად არ ტარდება აგრეთვე ვანის რაიონის შუამთის, ისრითისა და ყუმურის საშუალო სკოლებში.

შემოწმებული სკოლების დიდ უმრავლესობაში არ ტარდება პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოები.

საცდელ-პრაქტიკული მუშაობის ხელმძღვანელები არ არიან დაკავშირებული კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან, რომელთა ბაზაზე უნდა ტარდებოდეს მოსწავლეთა მუშაობა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ადგილი აქვს სასწავლო-გეგმებისა და პროგრამების თვითნებურად შეცვლას. წალენჯიხის მეორე სა-

შუალო სკოლის VIII კლასში შრომის მექანიზაციისა და ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების ნაცვლად ასწავლიან საცდელ პრაქტიკულ მუშაობას სოფლის მეურნეობაში; ჯგალის საშუალო სკოლის VIII კლასში ვაჟებს ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების ნაცვლად—ლითონის დამუშავებას, ხოლო გოგონებს—საცდელ-პრაქტიკულ მუშაობასა და მეოჯახეობას. ანალოგიური მდგომარეობაა ჯვარის საშუალო სკოლაში.

წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწ. მ. მებონია) ისეთი სამუშაოებია ჩატარებული, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

ბევრ სკოლაში შრომითი სწავლება დაწყვილებული გაკვეთილების სახით არ ტარდება. საცდელ-პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად არ არის შედგენილი კალენდარული გრაფიკი კლასების მიხედვით და მეცადინეობათა მონაცვლეობის გეგმა (დამატებითი ცხრილი) სახელოსნოებსა და მეოჯახეობაში.

მეოჯახეობის სწავლებისათვის სკოლაში არაა შექმნილი სათანადო პირობები, რის გამო გაკვეთილები ძირითადად ფორმალურად ტარდება.

სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა დაწყებითი კლასების მოსწავლეთა შრომით სწავლებაში. სუსტად ინერგება შრომითი ჩვევები, სკოლები არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებით (ნემსი, მაკრატელი, სათითე, მუყაო, პლასტილინი და სხვ.).

სკოლები არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, ხოლო ვანის რაიონის ისრითისა და შუამთის საშუალო სკოლების მოსწავლეებს სამუშაო იარაღების მოტანა სახლებიდან უხდებათ.

სკოლებში არ არის ჩამოყალიბებული V—VIII კლასების მოსწავლეთათვის წრეები შრომითი სწავლების სხვადასხვა სახეში;

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ არის განხილული დაწყებითსა და რვაწლიან სკოლებში მოსწავლეთა შრომითი სწავლების საკითხები, ხოლო მეთოხედის შედეგებში იგი მკრთალადაა აღნიშნული და არ ასახავს არსებულ მდგომარეობას.

არადამაკმაყოფილებელია სკოლის ხელმძღვანელობის კონტროლი მოსწავლეთა შრომითი სწავლებისადმი. ეს საქმე მთლიანად მინდობილი აქვთ დირექტორის მოადგილეებს საწარმოო სწავლების დარგში.

შრომითი სწავლების მასწავლებლებს არ ეწევა საჭირო მეთოდური დახმარება.

განათლების განყოფილებები სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას ღრმად არ სწავლობენ შრომითი სწავლების საკითხებს, ხოლო ზოგჯერ ეს საკითხები სრულიად შეუსწავლელიც რჩებათ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ვანისა და წალენჯიხის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. მ. ხარძეიშვილი და ვ. ბელქანია):

ა) აღნიშნული ბრძანება განიხილონ განათლების საბჭოს სხდომაზე,. დასახონ და გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ;

ბ) სათანადო კონტროლი დააწესონ ამ ბრძანებაში მოხსენებულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობაზე და, თუ ისინი ვერ გარდაქმნიან მუშაობას, დააყენონ საკითხი მათი განთავისუფლების შესახებ არსებული წესის დაცვით;

გ) მომავალი სასწავლო წლისათვის გადასინჯონ შრომითი სწავლების მასწავლებელთა შემადგენლობა და არასპეციალისტი, სუსტად მომუშავე მასწავლებლები შეცვალონ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე კადრებით;

დ) სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმებისას ღრმად შეისწავლონ შრომითი სწავლების მდგომარეობა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ადგილზევე მიიღონ საჭირო ზომები;

ე) ქმედითი დახმარება გაუწიონ სკოლებს შრომითი სწავლებისათვის სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის შესაქმნელად.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) დაუყოვნებლივ მიიღონ საჭირო ზომები და უზრუნველყონ შრომითი სწავლების სახელოსნოების მოწყობა მოთხოვნილების შესაბამისად;

ბ) მტკიცე კონტროლი დააწესონ შრომითი სწავლების მასწავლებელთა მუშაობაზე; მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების დაცვაზე.

სამედიცინო შემოწმების გარეშე არ დაუშვან მოსწავლეები სამუშაოდ სახელოსნოებსა და საცდელ ნაკვეთებზე;

დ) უზრუნველყონ მოსწავლეები მათი ასაკისა და ფიზიკური განვითარების შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, ხოლო ნაკვეთები სასუქებითა და შხამქიმიკატებით; მტკიცედ დაიცვან სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე მუშაობის სეზონურობა.

ე) არ დაუშვან შრომითი სწავლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების თვითნებურად შეცვლა; შრომითი სწავლება აწარმოონ ამ საკითხზე განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მითითების შესაბამისად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 25 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 5 აპრილის ბრძანება № 340

### ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების დიდი ტემპი გადაჭრით მოითხოვს როგორც სპეციალისტ ფიზიკოსთა დიდი რაოდენობით მომზადებას, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობაში ამ მეცნიერებისადმი მიდრეკილებისა და სიყვარულის აღზრდას.

ამ მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სკოლებს დროულად მისცა მითითება რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცების შესახებ. ამასთან ერთად სკოლებში (ქ. თბილისის მე-4, მე-7, 29-ე, 30-ე, 37-ე, 53-ე, 56-ე, მე-60 და 77-ე) IX კლასიდან შემოღებული იქნა ფიზიკის გაძლიერებული სწავლება და ამ ნიადაგზე გადამუშავდა ამ სკოლებისათვის ფიზიკის სასწავლო პროგრამა.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ზემოაღნიშნულ სკოლებში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებისათვის. ზოგიერთი სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ცდილობს ფიზიკის სწავლება ახალ ნიადაგზე დააყენოს, ზრუნავს ფიზიკის კაბინეტის უახლესი ტიპის ხელსაწყოებით შევსებაზე, გულდასმით ემზადება ყოველდღიური მუშაობისათვის, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას, ფიზიკის კურსის ძირითადი დებულებების სწავლებას უნარიანად უკავშირებს მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას და სხვ. 77-ე საშუალო სკოლაში სანიმუშოდ არის მოწყობილი ფიზიკის კაბინეტი, იგი შევსებულია ყველა საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით. ფიზიკის მასწავლებელი დ. მესხი ნაყოფიერად იყენებს ფიზიკის სწავლების გაძლიერებისათვის

განკუთვნილ დროს მოსწავლეთა პრაქტიკული და ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად, შედარებით რთული, კომბინირებული ამოცანების ამოხსნისა და ფიზიკის ისტორიიდან ცნობების ღრმად და შინაარსიანად გაცნობისათვის, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვითნაკეთ ხელსაწყოებს, კარგად ხელმძღვანელობს ფიზიკა-ტექნიკის წრეს, უფროსი კლასის მოსწავლეთა ძალებით ახდენს კაბინეტში არსებული ხელსაწყოების აწყობა-რეგულირებასა და, დაზიანების შემთხვევაში, მათ შეკეთებას. ასევე ნაყოფიერ მუშაობას ატარებენ მასწავლებლები: ნ. ცისკაძე (მე-4 საშ. სკოლა), რ. ბეჟანიშვილი (მე-7 საშ. სკოლა), ქ. ჭიპაშვილი, ნ. ქავთარაძე (29-ე საშ. სკოლა) და ზ. ხვედელიძე (53-ე საშუალო სკოლა).

მასწავლებლები გ. ნერსესოვი (30-ე საშ. სკოლა), ვ. ჩერნიკოვა (37-ე საშ. სკოლა), ვ. გუსევა (56-ე საშ. სკოლა), ს. გერგაია ა. გუნცაძე (მე-60 საშ. სკოლა) და ლ. რუხაძე (71-ე საშ. სკოლა) ფართოდ იყენებენ სწავლებაში თვითნაკეთ ხელსაწყოებს და მოსწავლეებს ავარჯიშებენ შედარებით რთული ამოცანების ამოხსნაზე.

ფიზიკის გაძლიერებული სწავლების კლასებში, სადაც მასწავლებლები სწავლებას უკავშირებენ მოსწავლეთა პრაქტიკულ საქმიანობას და ასრულებენ ყველა სახის ფრონტალურ-ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება მაღალია. ასე, მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წლის მეორე მეოთხედში 77-ე საშუალო სკოლის X კლასებში შეფასებულ 51 მოსწავლიდან ყველა ასწრებს და 40 მოსწავლემ მაღალი შეფასება დაიმსახურა. ასევე 29-ე საშუალო სკოლის IX კლასის 20 მოსწავლიდან ყველა ასწრებს და მაღალი შეფასება 10 მოსწავლეს აქვს მიღებული.

56-ე და მე-60 საშუალო სკოლებში ფიზიკის გაძლიერებული სწავლებისათვის სასწავლო გეგმით განკუთვნილი დრო თანაბრად არ ნაწილდება თეორიული საკითხების, ფრონტალურ-ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების, შედარებით რთული ამოცანების ამოხსნისა და ფიზიკის ისტორიიდან ცნობების ღრმად გაშუქება-ჩატარებაზე.

რიგ შემოწმებულ სკოლებში ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილი სათავსოები მცირე ფართობისაა, აღჭურვილია ძველი და უხარისხო დგამ-ავეჯით, შევსებული არაა საკმაო რაოდენობის ხელსაწყო-იარაღებით, კაბინეტებთან შექმნილი არაა მცირე სახელოსნო

ხელსაწყოების რეგულირებისა და შეკეთებისათვის, მოუწყობელი დაბნელება და ელექტროგაყვანილობა მასწავლებლის მოხერხებული მუშაობისათვის.

